

07.03.2019

ს.რატიანი. მადლობა, მინდა შევუხებო გარემოსადმი მიყენებული ზიანისა და ჯარიმის თანაფარდობას, 2013 წელს 6 მლნ იყო დათვლილი ზიანი თქვენ მიერ, თქვენი სამინისტროს მიერ და მლნ 700 ათასი იყო გადახდილი. 2014-ში იყო ფაქტობრივად 400 მლნ ზიანი და ამის საპირწონე არის დაახლოებით 4 მლნ-ზე მეტი. შემდეგში არის, ვთქვათ, 16 წელი, სადაც 6 მლნ არის ზიანი და აქ უბრალოდ არცა მაქვს მონაცემები რამდენი იყო გადახდილი, მარტო „არენჯი გოლდის“ მიერ მიყენებული ზიანი თქვენ მიერ დათვლილი, წერილი მაქვს ამასთან დაკავშირებით, რომ ე.ი. დათვლილია როგორც 30 მლნ და გადაგზავნილია პროკურატურაში, რა ხდება ამ მიმართულებით, რამდენი გადაიხდა არენჯი გოლდმა ჯარიმა ამის საპირწონედ. გარდა ამისა, 2015 წლის მერე, უფრო სწორად ბოლო წლები, 17-18 წლები ხო, მე ვერ მოვწახე მონაცემები და თუ შეიძლება გვითხრათ რამდენი არის დადგენილი, რამხელა ზიანი მიადგა გარემოს ამ წლების განმავლობაში, გაქვთ თუ არა დათვლილი და როგორ გაქვთ დათვლილი, რა მეთოდოლოგიით. ასევე მაინტერესებს იგივე ვიცი რომ გარკვეული ზეწოლის შედეგად შემდეგ რაღაცეების მუშაობა იწყება, მაგრამ ფოლადაურის მიმართულებით რა ხდება იგივე „არენჯი გოლდთან“ დაკავშირებით. გარდა ამისა, თქვენ უკვე აღიარეთ, ფაქტობრივად, რომ ბოლნისის მუნიციპალიტეტში ძალიან სერიოზული ზიანი მიადგა მოსახლეობას და ჰაერის დაბინძურებაა, ნიადაგის დაბინძურება არის და ისა. ... კვლევას გააკეთებთ თუ არა და რატომ არ აკეთებთ აქამდე, თუ შეიძლება 30 წამი დამიმატეთ...

თავმჯდომარე. დაასრულებინეთ.

ს.რატიანი. და კიდევ ერთი, ახლა მოგეხსენებათ შარშან გარკვეული საპროტესტო აქციების ფონზე, ზეწოლის ფონზე, შეჩერებული არის ბნელი ხევში მიმდინარე, ასე ვთქვათ, ხის ჭრები, მაგრამ უკვე ძალიან დიდი ტერიტორია არის ფაქტობრივად 10 ჰექტარამდე არის იქ გაჩეხილი. ეს რომ გაჩეხილი არის ამ მიმართულებით რას ვაკეთებთ გაიჩეხა და მორჩა თუ რა ხდება, რას ვაკეთებთ ამ მიმართულებით.



თავმჯდომარე. მადლობა. ბატონი გოგი მეშველიანი.

თავმჯდომარე. გმადლობთ, ბატონო ოთარ, ბატონი სერგო რატიანი. ტრიბუნიდან გნებავთ? ფრაქციით, 5 წუთი რეგლამენტი.

ს. რატიანი. მინდა შევუხებო, ასევე, როგორც კითხვაში შევუხებო პრობლემას, რომელიც დღეს უდგას სახელმწიფოს, ეს არის ზიანის მიყენება სხვადასხვა საწარმოების მხრიდან ზიანის მიყენების პრობლემა და ჯარიმების პრობლემა, რომელიც არ არის ერთმანეთთან არანაირად, მიახლოებითაც კი არ არის თანხვედრაში და მე დარწმუნებული ვარ, რომ პირადად თქვენ როგორც ამ უწყების ხელმძღვანელისთვის, ეს არის გამოწვევა, ოღონდ ხშირ შემთხვევაში ის, რასაც აკეთებთ თქვენ, მაგალითად ამ ზიანის, ასე ვთქვათ დათვლა, ამას სხვაგვარად იყენებენ სხვადასხვა, ასე ვთქვათ, უწყებები, მე თქვენ განახებთ ასე ვთქვათ, ყველასთვის ცხადი არის და აი აქ არის კვლევები თუ შეიძლება, აქ არის კვლევები უშუალოდ „არენჯი გოლდთან“ დაკავშირებით და იმ პრობლემებთან დაკავშირებით, რომელიც მან შექმნა ამ რეგიონში. აქ არის უამრავი სოფელი, რომელსაც ეს პრობლემა ეხება და არის, ფაქტობრივად უყურებთ თქვენ სხვადასხვა მონაცემებს, ვთქვათ ტყვის შემცველობა, მაგნიუმის შემცველობა, სხვადასხვა, ასე ვთქვათ, ნივთიერებების მატება, რომელიც პირდაპირ ზიანს აყენებს არა მხოლოდ გარემოს, ბუნებრივია გარემოსაც, მაგრამ ადამიანის ჯანმრთელობას და მასზე ძალიან მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს. ეს არის ის ზიანი, ეს პრაქტიკულად ახლა რასაც ვლაპარაკობ, არ არის გარემოსადმი მიყენებული ზიანი, ეს არის უშუალოდ ადამიანების მიმართ მიყენებული ზიანი, რომლის ანაზღაურებაზე საერთოდ ლაპარაკი არ არის, ეს არის ძალიან მძიმე მდგომარეობა ხო, მეორეს მხრივ, თუ შეიძლება გადავიდეთ ქვევით კიდევ აი ეს არის პირველი 2013-14 წელი და რას უყურებთ თქვენ, თქვენს მიერ დათვლილი, არა, სხვა, იგივე დამოუკიდებელი ორგანიზაციების მიერ დათვლილი, არამედ თქვენი უწყების მიერ დათვლილი, ასე ვთქვათ, ზიანი, რომელიც მიადგა 2013-2014 წლებში და შეფარდება როგორია, დაახლოებით 7 მილიონამდე არის ზიანის მიყენება და მილიონ 700 არის გადახდა. 400 მილიონზე არის ზიანი, ვთქვათ იგივე 14 წელს და მხოლოდ 4 მილიონზე არის გადახდა. თუ შეიძლება გადავიდეთ შემდეგ საიტზე



და აი აქ ჩვენ ვხედავთ რომ იგივე „ჯორჯია მანგანუმის“ მიერ არის აი ამხელა ზიანი, 324 მილიონზე არის საუბარი და ასევე მეორე სერიოზული კომპანია არის იგივე „არენჯი გოლდი“ და ერთობლივი ზიანი აქ არის დაახლოებით 30 მილიონი. არა ჩანს? მაშინ ეს შეგიძლიათ გადაამოწმოთ აგერ არის და დამეთანხმება თუ ჩემი რომელიმე რიცხვი არის არასწორი ან რამე ზედმეტს ვამბობ, არა, შეგიძლიათ აგერ თქვენ მინისტრს ჰკითხოთ და არის 30 მილიონი და აი 2014 წლის შემდეგ ფაქტობრივად ეს გადაგზავნილია პროკურატურაში და დევს მაშინ, როდესაც იგივე ჭიათურაში შეცვლილი არის მენეჯმენტი. ანუ, ერთ შემთხვევაში მოქმედება სახელმწიფოსი არის ჩარევა პირდაპირი და შეცვლა მთლიანად და შეიძლება ითქვას, ასე ვთქვათ, ალება პასუხისმგებლობისა მთლიანად. მეორე შემთხვევაში არის სხვაგვარი მიდგომა. მაგალითად აქ არის, იგივე სიტუაცია არის, როდესაც მაგალითად იქ გარკვეულ დამატებით რაღაცეებს აძლევენ, მაგალითად გადახდები ვალდებულებებისგან იცით თქვენ, რომ გათავისუფლებულია. თქვენ არ გაგიკეთებიათ, რასაკვირველია, ეკონომიკის სამინისტრო აკეთებს ამას, მაგრამ სხვადასხვა მიდგომები არის და მეორე ზიანი არ არის ანაზღაურებული და საერთოდ 30 მილიონი თითქოსაც არც ყოფილა ხომ მართალია, არა? აი ასეთი მძიმე მდგომარეობა არის აი ამ მიმართულებით ფაქტობრივად და დღეს, როდესაც ჰკითხეთ თქვენ იცვლება თუ არა ვითარება ამ მიმართულებით, თქვენ დაასახელეთ ორი წელი 2017 წელი და მე გადავამოწმე იყო 10 მილიონი და 5 მილიონი არის 17 წელს და 9 მილიონი არის და 3 მილიონი გადახდა. დიახ, ეს უფრო მეტი არის უნდა ვთქვა უფრო მეტი არის, ვიდრე არის 400 მილიონი და 4 მილიონი და ან იგივე 6 მილიონი და მილიონი, მაგრამ ძალიან სერიოზული სხვაობა არის და აქ, რასაკვირველია, ჩვენ შეგვიძლია ვილაპარაკოთ კორუფციაზე. მე ამ შემთხვევაში თქვენი უწყების მიმართ არ ვამბობ, ამას აკეთებს იგივე პროკურატურა, ამას აკეთებს იგივე ეკონომიკის ...

**თავმჯდომარე.** კი, ბატონო, 3 წუთი დაამატეთ.

**ს.რატიანი.** ეს არის სერიოზული პრობლემა და ჩვენ ამას ვხედავთ იგივე „თიბისისთან“ მიმართებაში, შერჩევით არის, შეიძლება დაახლოებით იგივე პრობლემა, რაღაცა პრობლემა არის სხვა



მიმართულებითაც. ერთ ინსტიტუციას ერჩიან, მეორეს არა. ძალიან სერიოზული პრობლემა არის. თუმცა თქვენი პირადად თქვენი უწყების პრობლემა არის, რომ კომპანია, რომელსაც აქვს განადგურებული ფაქტობრივად განადგურებული როგორც კულტურის გარემო, ასევე ჩვენი გარემო, არაბუნებრივი გარემო, ამ კომპანიას ისევ აძლევთ საშუალებას, რომ გაფართოვდეს და სხვაგან დააშავოს და იცით, რომ შარშან გამოსვლები იყო და ეს არასამთავრობო ორგანიზაციებს უნდა გადაუხადოთ მადლობა, ოპოზიციას უნდა გადაუხადოთ მადლობა. მთელი შარშანდელი წელი ხომ გაატარეს აქ, აქ არის მწვანე ალტერნატივა. ასევე არის საყდრისის კომიტეტი, რომელმაც ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ ეს შეჩერებულიყო და აქ არის ოპოზიცია, რომელმაც მართლაც ყველაფერი გააკეთა, რომ ეს პროცესები შეჩერებულიყო. და ბოლოს, მინდა ვთქვა, რაც შეეხება ბნელ ხევს და ფიტარეტს ბოლო აი ესა ხომ, ფიტარეტის ტყე ვინმეს აი დღეს თქვენ მაგალითად ხართ პასუხისმგებელი იმაზე, რომ აი ეს ტყე უკან არ განადგურდება. როდესაც აი ამ ტყის უკან ზუსტად აი ამ ტერიტორიაზე იქნება ... მოპოვება და ღია კარიერული წესით მოპოვება. რომ როდესაც წავა აფეთქებები და როდესაც იქნება მტვერი, როდესაც წამოვა ეს ყველაფერი არ განადგურებს აი ამ ტყეს და აი ამ სასიცოცხლო გარემოს და კულტურულ გარემოს. ამას რამენაირად თქვენ აღუდგებით, ვერაფერს ვერ გააკეთებთ სინამდვილეში თუ ეს დაიწყო უკვე აქ არის ძალიან სერიოზული გადაწყვეტილებები მისაღები აი ამ მთის უკან როგორც კი დაიწყება აფეთქებები და ჩვენ ეს ხომ ნანახი გვაქვს რაღაცა, ასე ვთქვათ, მოულოდნელობა ხომ არ იქნება, ჩვენ ეს ნანახი გვაქვს საყდრისში. როდესაც საყდრისის აფეთქებები დაიწყო, იქ განადგურდა ასევე ბუნებრივი გარემო და ასევე კულტურული გარემო. ეს გამოცდილება გვაქვს და ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისთვის, რომ შევაჩეროთ აი ამ კულტურული გარემოს, ამ სივრცის, სასიცოცხლო სივრცის, ასე ვთქვათ, განადგურება. მადლობა.

**თავმჯდომარე. გმადლობთ.**

